საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 5 მარტი, 2012 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 114

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[29] პუ-ნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52[1]-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს 41 (ორმოცდაერთი) ერთეულით.

2. მისაღები კონტინგენტი განაწილდეს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, თანახმად დანართისა.

3. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2012 წლის 5 მარტის № 114 დადგენილების
დანართი

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში
2012-2013 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე
მისაღები კონტინგენტი

1. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი: 13 ადგილი, მათ შორის:

– მხატვრული ტელეფილმის რეჟისურა; თოჯინების თეატრის რეჟისურა; დრამის რეჟისურა – 10 ადგილი;

– ტექსტილის დიზაინი – 3 ადგილი.

2. მუსიკის ფაკულტეტი: 8 ადგილი, მათ შორის:

– ფორტეპიანო (პედაგოგი); აკადემიური სიმღერა (პედაგოგი); ეთნომუსიკოლოგია – 8 ადგილი.

3. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: 20 ადგილი, მათ შორის:

– ხელოვნების თეორია და ისტორია (ძველი ქართული ხელოვნების ისტორია) – 5 ადგილი;

– ხელოვნების თეორია და ისტორია (თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია) – 5 ადგილი;

– ხელოვნების მენეჯმენტი – 5 ადგილი;

– საბაზო და საშუალო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და შრომითი სწავლების მასწავლებელი – 5 ადგილი.

სწორია: